# სახალხო გაზეთი

№ 795 პარასკევი, 11 იანვარი 1913 № 795

**განცხადების ფასი**. ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოთხლში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონ № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



# სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

**პრემიად** 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) უცხოეთის მწერლები 400 გვ.)

2) ქართველი მწერლები (500 გვ.)

გაზეთის ფასი წლიწადში **8 მ. და 50 კ.** ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8.50 | 8. | 7.50 | 6.75 | 6. | 5.25 | 4.50 | 3.75 | 3. | 2.25 | 1.50 | .75 |

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

**ათი შაური** უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ **ნაწილობით**

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის-მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 913 წლის გასულისა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) „სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.
3) ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети". П. Ящ. 190.


სოფიო გრიგოლის ასული შანშიევისა, დარეჯან დიმიტრის ასული რობიტოვისა ქმრით და შვილებით, ნიკოლოზ სპირიდონის ძე შანშიევი, პელაგია ცაბაძისა შვილებით და ნინა სპირიდონის ასული მიქაძისა ქმრით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ უდროოდ გარდაიცვალა პირველის—ქმარი, მეორისა—ძმა და დანარჩენებისა—ბიძაშვილი, ფოს.-ტელეგრაფ. მოხელე

## გიორგი დიმიტრის ძე შანშიევი.

პანაშვიდი ყოველ დღე ბინაზე, საღამოს 6 ნახევ. საათზე, (გონჩარნი ქუჩა № 44), გამოსვენება კვირას, 13 იანვარს, დილის 10 საათზე, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დასაფლავება კუკიის სასაფლაოზე. 34

მარო, ბუჟუჟა და ტოგო შავიშვილები, სიოდი, ვასილ, კასინა და ვერა ურუშაძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 12 ამა იანვარს, სოფ. ქანიეთში ოზურგეთის მაზრ. დანიშნულია წირვა და პანაშვიდი 40 დღის თავზე, დღიდან გარდაცვალებისა, პირველის ძვირფასი ქმრის, მეორეთა—საყვარელ მამის, მესამეთა სიძის

## დომენტი შევარდენის ძის შავიშვილის

სულის მოსახსენებლად. 35

**პარასკ. 11 იანვარს, საღამ. 8 ს., ქართულ თეატრში,** წაკითხულ იქნება **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სასარგებლოდ**

პრივატ-დოცენტ **ივ. ალ. ჯავახიშვილის** მიერ **ლექცია:**

## ძველი ქართული ხელოვნების ისტორია.

**პროგრამა ლექციისა:** 1) ქართული ხელოვნების წყაროები და ნაშთები; 2) ხელოვნებათა ტერმინები ძველ ქართულ მწერლობაში; 3) საეკლესო და საერო ხუროთმოძღვრება (ტაძარ-მონასტრები, სასახლეები, კოშკები, ციხეები და სხვა). 4) ქანდაკება, ხის ჩუქურთმა და ორნამენტაცია. 5) მხატვრობა, საეკლესიო მხატვრობა და მინიატიურები, სამინანქრო ხელოვნება. 6) თოქმაჩობა (ფულის მოჭრის ხელოვნება). 7) ქსოვილები და ტანისამოსი; ისტორია ტანისამოსისა, თავის მორთულობისა, იარაღისა და სამკაულისა ძველ საქართველოში. 8) ქართული ხელოვნების განვითარების საზოგადო მიმოხილვა.

**ადგილების ფასი:** პარტერი 1 მ.—20 კ.-მდე, ლოჟები 2 მ.—1 მ.-დე, გალერეია 10 კაპ. 31

**ახალი კლუბი**

**შაბათს, 12 იანვარს 1913 წ.**

## მასკარადი

**საუკეთესო ტანისამოსისთვის დანიშნულია ორი ჯილდო.**

მასკებმა ბილეთებისთვის კეთილ ინებონ და მიმართონ კლუბის შვეიცარს. ქალთათვის მასკები სავალდებულოა ღამის პირველ საათამდე. მოცეკვავეთათვის ტანისამოსის ფორმა: ერის კაცთათვის ვიცმუნდირი, ფრაკი და ეროვნული ტანისამოსი. 1017.

→ **გამოსულია და იყიდება** ←

**ნ. შიუკაშვილის**

**პიესა** **„მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი.**

**პარასკ. 11 იანვ.** ქართ. სახ. წარ. მმართ. წრის მიერ წარ. იქნება მესამედ:

**დღენი ჩვენი ცხოვრებისა,** (**სტუდენტის სიყვარული**), დრ. 4 მ. ლ. ანდრეევისა, თარ. ელიოზიშვილისა. მონაწილეობენ ქ-ნნი: ანტუანეტა, მარგ. გოგოლაშვილი, გოდერძი, მანუჩარიან, კახელი, **პიერეტა,** ელ. ციმაკურიძე. ბ-ნნი: ანაშვილი, არშაკუნი, ბიაშვილი, ნ. გოცირიძე, ვ. განჯელი, ალ. მეტრეველი, ს. რომანიშვილი, გ. სვანელი, სავიცკი, რ. სალაყაია, გ. ფრონისპირელი, ყარსიმაშვილი, ნ. ჭანკვატაძე, მ. ჭიაურელი და კ. ხახანაშვილი.

ბილ. ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

შემდეგი წარმოდ. 17 იანვ., წარმოდგ. იქნება „მსხვერპლი“, ი. გედევანიშვილისა

1627 რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** **წრ. ადმინ.**

**შაბათს, 12 იანვარს, საღამოს 8 საათზე, შესდგება**

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის

## საზოგადოების მორიგი კრება

ტფილისის თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს ბინაზე.

**ბ-ნი მიხეილ წულუკიძე** წაიკითხავს **მოხსენებას:**

**„ესთეტიკის ძირითადი საფუძველნი“.**

მოხსენების შემდეგ გაიმართება **ბაასი** ამ თემაზე. 1012



ახლად გამოვიდა

პაპიროსები

## =პაროლ=

25 ც. 15 კ. და 10 ც.—6 კ.

„ძმ. სეილანოვების ქარხნისა.

ეტიკეტი წარდგენილია ვაჭ. მრეწ. სამინისტროს სამრეწველო განყოფილებაში. 1531.

**საბავშვო**

## ბაღი

**ანასტასია გედევანიშვილისა**

მიიღებენ ბავშვებს 5—7 წლამდე ყოველ დღე. 1015.

## გორი

რადგანაც **გამომცემელი ამხანაგობა „ქართლი“** ახალ, საკუთარ სტამბას აწყობს და **ახალ მანქანებს სდგამს,** ამის გამო

გაზეთი **„ქართლი“**

**იანვრის ოცამდე შეჩერდება.**

ხელის მომწერთ დანაკლისი წლიურ განმავლობაში შეუსრულდებათ.

1022 **„ქართლის“ რედაქცია.**

**ქ. ქუთაისში**

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**გ. გ. გიგინეიშვილის**

## საბუღალტრო კურსები

15 იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე განყოფილება, მსმენელები მიიღებიან ოთხი კლასის მოწმობით. სწავლის ფული ასი მან. კურსი ათი თვისაა. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (ტფილისის ქუჩა.). 1002.

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება ჩვენი პოეტების პოემები და ლექსები:**

| | |
|---|---|
| აბაშიძე გრ. . . . . . . . ფ. 60 კ. | თამარიანი, გუგუნავასი . . . . 50 „ |
| ბარათაშვილი ნ. . . . . . . „ 40 „ | ორბელიანი ვახტ. . . . . . . . 60 „ |
| ბესიკი. სიტყვ.-კაზმ. საზ. გამ. 1 მ.— | ორბელიანი გრ. რჩეული ლექს. . . . . . . . 20 „ |
| გურამიშვილი დ. „დავითიანი“ 1 მ.— | სილოვანის ლექსები 1878—1894. . 50 „ |
| გურიელი მამია . . . . . . . 1 მ.— | ცისკარი. რუხაძის ლექსები . . 25 „ |
| განდეგილის ლექსებ. . . . — 50 „ | შანშიაშვილი. შვების თავადი . 60 „ |
| დუტუ მეგრელი წ. I ლექსებ. 70 „ | ჭავჭავაძე ალ. ლექსები . . . . 30 „ |
| ერისთავი რაფ. წ. I . . . . . 1 მ.— | ჭავჭავაძე ილ. . . . . . . . . . 27 „ |
| ევდოშვილი, ლექსები და პოემები . . . . 60 „ | წერეთელი აკაკი ტ. I . . . 1 მ.— |
| ვაჟა-ფშაველა . . . . . . . . 1 მ.— | — — ტ. II . . . 1 მ.— |
| ვეფხის ტყაოსანი ქართველიშვილის გამოც. 10 მ. 65 „ | — —ჩემი ნაწერ. ტ. I 75 „ |
| „ „ ქ. შ. წ. კ. ს. გამ. 60 „ | — — იგავ-არაკნი . 50 „ |

**ადრესი:** Тифлисъ О-ва распр. грамотности сред. гр. нас. 1141

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა,** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: ხოლოდილნაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვისქ. კუთხ.). **ტელეფ. 7—92.** 847

## საგურამოზე

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის სიახლოვეს დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

**ექიმი ი. კ. აბაკელია** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4 1/2—6 1/2 საათ. **ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. შიოკოვის ქუჩა, № 3, ს. გამრეკელისა.

**ექიმი ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, სათესლეთა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5 1/2 ს. **ელისაბედ.** ქ., № 3, კიროჩნი ქუჩასთან ახლოს, სადაც ფოსტის განყოფ. პირდაპირ 102

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

## ტფილისი, 11 იანვარი

**მარშლის არჩევნები.** არის ხოლმე მომენტები, როდესაც საზოგადო ასპარეზზე მომუშავე, რაც უნდა მაღალ საფეხურზე იდგეს იგი, ვალდებულია ანგარიში გაუწიოს საზოგადოებრივ აზრს და თავისი მოქმედება დაუქვემდებაროს არა პირადს ჟინიანობას, არამედ საზოგადოებრივ ხმას. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ცხოვრებაშიც დღეს სწორედ ასეთი მომენტი დადგა. არავისთვის საიდუმლოებას არ უნდა შეადგენდეს, რომ იმ განხეთქილებას, რომელიც თავად-აზნაურთა წრეებში დაიბადა, საზოგადოებრივ ხასიათის გარდა, ბევრი საპირადო მიზეზებიც აქვს. არ გამოვუდგებით იმის გამორკვევას, თუ რომელი მხარე უფრო მართალია. ჩვენ ვიღებთ განხეთქილებას, როგორც ფაქტს და იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ განხეთქილების მოსასპობად საჭიროა ორივე მეთაური მებრძოლ მხარისა, თავ. პ. ი. თუმანიშვილი და თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილი ბრძოლის ასპარეზს ჩამოშორდნენ. გვეუბნებიან, ბრძოლას კი არ უნდა გავექცეთ, არამედ მხარი უნდა დაუჭიროთ იმათ, ვინც საზოგადოებრივ ინტერესს კერძო ინტერესებზე მაღლა აყენებს, თუნდაც ამისთვის სასტიკი ბრძოლა დაგვჭირდეთო. ამას ამბობს „ზაკავკაზიე“ თავის ერთს მეთაურ წერილში. ასე სხარტად თუ ვიტყვით, რასაკვირველია, ყოველთვის მხარი უნდა დავუჭიროთ იმათ, ვინც საზოგადოებრივ ინტერესს კერძო ინტერესებზე მაღლა აყენებს. მაგრამ ვინ არის ასეთი? ცხადია „ზაკავკაზიე“-ს თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილი ჰყავს მხედველობაში, როდესაც ამასა სწერს. მაგრამ დიდი გამბედაობაა იმისი თქმა, თითქოს ბაგრატიონ-დავითიშვილი მხოლოდ საზოგადოებრივ ინტერესებზე ზრუნავს და სხვა ყველა კი უსათუოდ პირადის ინტერესებითაა გატაცებული. თავად-აზნაურთა წრეებში მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომელნიც ბაგრატიონ-დავითიშვილზე მეტად არიან დაინტერესებულნი საზოგადო საქმეებით და იმაზე უკეთესად მოახერხებენ როგორც ქართველ ინტელიგენტურ ძალთა უტილიზაციას, ისე თავად-აზნაურობის უკვე გართულებულ მეურნეობის გაძღოლას. დიდი გამბედაობაა იმისი თქმა, რომ, ვინც ბაგრატიონ-დავითიშვილის წინააღმდეგია, ის უსათუოდ ებრძვის საზოგადოებრივობის პრინციპს კერძო მისწრაფებათა სასარგებლოდ. პირ-იქით, როგორც სამართლიანად შენიშნავს ჩვენს გაზეთში ბ-ნი ამ.—ამი, ბაგრატიონ-დავითიშვილი გამომხატველი იყო ანტისაზოგადოებრივ ტენდენციებისა. მან თავად-აზნაურობის მეურნეობა გადააქცია ვიწრო წოდებრივ საქმედ და კარი დაუხშო ქართველ ინტელიგენციის ფართო მასას, რომელსაც შეეძლო ცხოველ-მყოფელი ნაკადული შეეტანა მის მოქმედებაში. ბაგრატიონ-დავითიშვილი გამომხატველია იმ აზროვნებისა, რომელსაც ყოველთვის ანვითარებდა ხოლმე ხან მ. ტფილისელი და ხან კიდევ მ. მაჩაბელი და რომელიც გამოიხატება იმაში, რომ თავად-აზნაურობა და მისი თანხები უნდა იყოს რომი, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა გზები მიდის. ... ცხოვრების მაჯის ცემაა დეპუტატთა საკრებულოში განუხორციელებელი ოცნება მ. ვ. მაჩაბელისა და მის გავლენის ქვეშ მყოფ ბაგრატიონ-დავითიშვილისა, მაგრამ ორივენი მაინც მაგრად ებღაუჭებიან ამ იდეიას. ეს არის, რომ აღვივებს ბრძოლის სურვილს ამ წრეებში, ეს არის, რომ ბოროტ-გამზრახველთა სკამზე ასმევინებს ყველას, ვინც ცოტად თუ ბევრად განთავისუფლებულია ამ ოცნებისაგან და დამოუკიდებელის აზროვნებით შედის თავად-აზნაურთა წრეებში.

ამით ჩვენ არ გვინდა ვთქვათ, თითქოს ყველა ის, ვინც დღეს ბაგრატიონ-დავითიშვილის რეჟიმს,—დიაღ, სწორედ რეჟიმს,—ებრძოდეს, უსათუოდ საზოგადოებრივი ინტერესებითაა გატაცებული. მათშიაც მრავალია პირადი ჟინიანობით გატაცებული, მათშიაც ბევრი რამ არის ანტისაზოგადოებრივი. მაგრამ ეს სრულიად არაფერსა ჰნიშნავს. დაკვირვებული ადამიანი ყოველთვის უნდა ჰხედავდეს, რომ მყვირალა ოპოზიციონერებს გარდა, არის ფართო ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც არც პირადი ანგარიშებითაა გატაცებული, მაგრამ თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილის რეჟიმსაც მავნებლად სთვლის. ყველა ამათ ჩვენ ერთს ტაფაში ვერ მოვაქცევთ და „ზაკავკაზიე“-სავით ვერ ვიტყვით, ვინც ბაგრატიონ-დავითიშვილის კანდიდატების წინააღმდეგია, ის უსათუოდ საზოგადოებრივობის წინააღმდეგიც არის. თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილი არასოდეს არა ყოფილა საზოგადოებრივობის გამომხატველი და ამიტომ ასეთი დაპირისპირებაც სრულიად უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს.

დღეს, როგორცა სჩანს, ერთმანეთს უნდა შეებრძოლნენ ბაგრატიონ-დავითიშვილი და თავ. პ. თუმანიშვილი. ყველა იმის შემდეგ, რაც მოჰხდა ორთავეს მხრით, არც ერთსა და არც მეორეს არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვთ კვლავ ექსპერიმენტები აწარმოონ და თავად-აზნაურობის არჩევნები პირად ჟინიანობის დამაკმაყოფილებელ ასპარეზად გადააქციონ. ერთიც და მეორეც ზნეობრივად ვალდებულნი არიან ჩამოშორდნენ საქმეს, რომელსაც ვერ გაუძღვნენ, ერთიც და

მეორეც ვალდებულნი არიან ანგარიში გაუწიონ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც, მიუხედავად აზრთა სხვა და სხვაობისა, მაინცა ჰგმობს ორთავეს. თვით კახეთის რკინის გზის საქმეშიც ორთავეს ბევრი ცოდო მიუძღვის და ამიტომ ორთავემ ქედი უნდა მოიხარონ საზოგადოებრივ მსჯავრის წინაშე. არა სურთ? მაინც ჯიუტობენ? მაშინ საზოგადოებამ უნდა სთქვას თავისი მიუდგომელი სიტყვა. მაგრამ ყველაზე მეტი უნდა სთქვან იმ ცენზოსნებმა, რომელნიც საბოლოოდ გადასწყვეტავენ საკითხს. მათ უნდა გამოჰხატონ თავის არჩევანში საზოგადოებრივი აზრი და როგორც თავ. პ. თუმანიშვილს, ისე თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილს შავი კენჭები მისთავაზონ.

## სახელმწიფო საბჭო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)

9 იანვრის სხდომა.

თავმჯდომარეობდა **აკიმოვი.**

საბჭომ მოისმინა საკანონმდებლო კომისიის მოხსენება შესახებ იმისა, რომ 1890 საერობო დებულება გავრცელდეს მცირეოდენი ცვლილებით არხანგელის გუბერნიაშიო. ეს კანონ-პროექტი სათათბიროს თაოსნობით იყო აღძრული.

კომისიის მომხსენებელი **სტიშინსკი.** თუმცა კომისია არხანგელის გუბერ. საერობო მეურნეობას სთვლის დაუკმაყოფილებლად, მაინც არ არის მომხრე კანონ-პროექტისა, რადგანაც იგი არ შეეფერება ადგილობრივ გეოგრაფიულ და ყოფა-ცხოვრებით პირობებს.

**ზინოვიევი მეორე.** არხანგელის გუბერ. [illegible]

**გრიმი.** [illegible] ნიცკისა და ვიატკისა, ეროვის საქმე უფრო კარგად მიდის. ამასავე ვხედავთ უცხო სახელმწიფოებში. საჭიროა კანონ-პროექტი მუხლობრივ განვიხილოთ.

სხდომის განახლების შემდეგ ილაპარაკა კამენსკიმ.

**კამენსკი.** არხანგელის, ვოლოგდის და პერმის გუბერნიები ერთნაირ პირობებში იმყოფებიან, მაგრამ ორ უკანასკნელ გუბ. ერობა არსებობს და ბევრიც გაკეთებულა. საჭიროა მივიღოთ სათათბიროს კანონ-პროექტი, რადგანაც მას ერობაში დემოკრატიცაზია შეაქვს.

**ადგილობრივ მეურნეობის მთავარ სამმართველოს უფროსი.** შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის დღეში არ ჰყოფდა უარს, რომ არხანგელის გუბ. საჭიროა ერობის შემოღებაო. ამისთვის სამინისტრომ თავის თაოსნობით დაავალა გუბერნატორს ამ მხრივ შეისწავლოს გუბ. პირობები. გუბერნატორის გამოკვლევამ დაგვანახა, რომ გუბ. არ მოიპოვება ისეთი ელემენტები, რომელთაც შეეძლიათ დააკმაყოფილონ 1890 წლის საერობო დებულებანი: კერძო მიწის მფლობელები იქ არ არიან, გლეხობა ნაკლებად არის დაინტერესებული საერთო მეურნეობის წარმოებაში, რადგანაც, საკმაო მიწა არა აქვს. შინაგან საქმეთა სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია არხანგელის გუბერნიის საერობო მეურნეობის გაუმჯობესება, ამისთვის უკეთესია გაუმჯობესებას საფუძვლად დაუდოთ 1903 წლ. 2 აპრილის კანონი.

**ვასილიევი.** არხანგელის გუბ. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ერობის შემოღება. იგი ბუნებით მდიდარი მეჩვიდმეტე საუკუ- [illegible]

**სტიშინსკი** [illegible]

**მელერ-ზაკომელსკი** ვასილიევის აზრის მომხრეა.

საბჭომ უკუაგდო ვასილიევის აზრი.

**სტიშინსკი** [illegible]

საბჭომ 63 ხმით [illegible] 41-სა, უარ-ჰყო კანონ-პროექტი და მიიღო სტიშინსკის წინადადება.

შემდეგი სხდომა 16 იანვარს.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ ტფ. 1 საბლაღოჩინო ოლქის მოძღვართა-მოძღვრად ეგზარხოსმა დაამტკიცა ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის წინამძღვარი დეკანოზი სოლ. შოშიაშვილი.

✦ **რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის მეფობის გამო** ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი ბათომის ქალაქის გამგეობას შეეკითხა, რა მონაწილეობას მიიღებთ მოსავალ იუბილეშიო. გამგეობამ უპასუხა, რომ პეტერბურგში დეპუტაციას გაგზავნისო, რომელშიაც იქნებიან: ბათომის ქალაქის მოურავი თავ. ანდრონიკაშვილი და ორიც სამაზროს ქალაქების მოურავიო.

✦ ტფილ. **ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფასო სასადილოს** საზოგადოების გამგეობამ მიიღო შემოწირულება შემდეგ პირთაგან: ქ. ბ. ბარბარე ვასილის ასულ თამამშოვისაგან—100 მან., ბ. იაკობ ალექსანდრეს ძე მანსვეტაშვილისაგან—100 მან.; ქ. ბ. მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანისაგან 15 მან. და ბ. კიტა აბაშიძისაგან—10 მან., მ. ორბელიანისამ და კ. აბაშიძემ ეს ფული შემოსწირეს იმ გვირგვინის ნაცვლად, რომლითაც უნდა შეემკოთ ამას წინად გარდაცვალებულ ალექსანდრე ივანეს ძე ჯავახიშვილის ცხედარი. იმავე გამგეობამ მიიღო აგრეთვე ქ ბ. თამარ ნიკოლოზის ასულის პლემიანიკოვისაგან განსვენებულ მის შვილის ვოლოდიას სახსოვრად 15 მან. და ქ-ბ. ნინო ივანეს ასულის თაყაიშვილისაგან 5 მან. ყველა ამ შემომწირველთ ხსენებულ საზოგადოების გამგეობა დიდ მადლობას მოახსენებს.

✦ **გენერალ-მაიორის დ. ი. მუსხელიშვილის გვამი** გუშინ მიაბარეს მიწას კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე. დასაფლავებას დაესწრნენ წარმომადგენელნი: თავად-აზნაურობისა, ქალაქისა, სამხედრო უწყებისა და მრავალი გარეშე ხალხი.

✦ **ყასბითა თხოვნა.** გუშინ ტფ. ყასბებმა ქალაქის გამგეობას საერთო თხოვნა მიართვეს, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ საქონლის თასმა ტფილისში მეტად აიწია და ახლანდელ ნიხრით გაყიდვა ხორცისა ჩვენთვის საზარალოაო. ყასბნი თხოულობენ, გამგეობამ საცდელად დაჰკლას საქონელი და ნიხრი მის შემდეგ შესაფერად შესცვალოს.

✦ **საბირჟო ცნობები.** 10 იანვარს შეთანხმება არ მოხდა პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა—აფასებენ 85 მან. 50 კ. აძლევენ 85 მან. ტფ. სათავად-აზნაურო სააღგილმამულო ბანკისა 5% გირავნობის ფურცლებისა—აფასებენ 82 მან. 75 კაპ., აძლევენ—82 მან. 10 კაპ.; ქუთაისის სათავად-აზნაურო სააღგილმამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა — აფასებენ 78 მან., აძლევენ 77 მან.

სახელმწიფო ბანკის ტფ. კანტორის სახელმწიფო ქაღალდების საკურსო ნორმები შემდეგია: მოგებიანი ბილეთები: 1 სესხის—469 მან., მეორისა—367 მან. 50 კ. (აიწია 1 მან. 50 კ.) და მესამისა—318 მან. 50 კ. (აიწია 50 კ.). სხვა ცვლილება არ მომხდარა.

✦ **ტფ. ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა საეკონომიო საზოგადოების** წესდება გუბერნატორმა დაამტკიცა. საზოგადოების წევრთა საერთო კრება ამ დღეებში მოხდება თანამდებობის პირთა ასარჩევად.

✦ **გლეხთა ვალდებულობის მოსპობის გამო.** 9 დეკემბერს, საღამოს, საქართველოს ეგზარხოსის ბინაზე საგანგებო კრება მოხდა სასინოდო კანტორის წევრთა მონაწილეობით. კრებამ მსჯელობა იქონია იმის შესახებ, თუ როგორ გამოუცხადოს და განუმარტოს ხალხს 20 დეკემბრის კანონი, რომელიც გლეხთა ვალდებულობის მოსპობას შეეხება.

### ქუთაისი

✦ როგორც საზღვარ-გარეთიდან იტყობინებიან—იქ აბრეშუმის გახჭობილ პარკზე ფასებმა საგრძნობლად აიწია.

✦ 7 იანვარს ქალაქის გამგეობაში მოხდა საჯარო ვაჭრობა ხიდებისა და სასწორების გასაცემად. გაიცა ხიდები 18,000 მ., სასწორები 3,700 მანეთად.

✦ მორიგი სხდომა ქუთაისის ქალაქის საბჭოსი მოხდება 15 იანვარს.

✦ წარსული წლის აპრილში პეტერბურგის პსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში გიორგი მეფარიშვილს წაუკითხავს რუსულად რეფერატი შემდეგ თემაზე: „დეტერმინიზმი“. ამ რეფერატს დიდი ინტერესი და ხანგრძლივი კამათი გამოუწვევია დამსწრეთა შორის. პროფესორ ს. ო. გრუზენბერგსაც გრძელი სიტყვა უთქვამს ამ რეფერატის გამო. რეფერენტი მადლობითა და ტაშის ცემით დაუჯილდოვებიათ.

✦ დაბა ზესტაფონში მოჰკლეს ბოქაულის თანაშემწე სვანიძე. სვანიძე ბუფეტიდან გამოუხმიათ ჟანდარმებს რაღაც ოქმზე ხელის მოსაწერად. ბაქანზე მას შეუნიშნავს ვიღაც უცხო კაცი და უკითხავს ვინაობა. იმასაც უთქვამს, მე აქვე ვმსახურობ ერთ ექსპორტების კანტორაშიო, წამობძანდით და გაიგეთო. სვანიძეს თავი დაუნებებია მისთვის და წასულა საქმეზე. ცოტა ხანს შემდეგ მიმავალ სვანიძეს უკანიდან მივარდნია ბოროტ-განმზრახველი, რამდენჯერმე დაუხლია რევოლვერი და იქვე მოუკლავს.

✦ ქალ. ქუთაისის ღალის ზედამხედველი აცხადებს, რომ თუმცა ამ იანვრის 7-ს შესრულდა ვადა ბინებსა და მობინადრებზე განცხადების შემოტანისა, მაგრამ თებერვლის პირველამდე ამ განცხადების შეტანა კიდევ გაგრძელდება, წინადადებას აძლევს, ღალის საქმე გაასწორონ, რომ დაგვიანებისათვის ხუთ თუმნამდე ჯარიმა არ გადახდეთ. ღალის ზედამხედველი ამგვარადვე აფრთხილებს ვაჭრებსა და მწარმოებელთა. კ.

✦ წ. კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილებამ თავის სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების თვალყურის მდებლად მოიწვია ბ. დოლაბერიძე.

✦ გუშინ ადგილობრივ სატუსაღოდან ტყვეები გაიქცნენ, პოლიცია და ჯარი ფეხზე დადგა. დილიდან ძებნა-ჩხრეკა იყო ქალაქსა და მის მიდამოში, დაწვრილებით ცნობები ჯერ არ არის.

✦ ბათომის ქალაქის გამგეობას სამჯერ ჰქონდა სხდომა ქალაქის სკოლებში სამოსწავლო პროგრამის შეცვლის გამო. ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე, რომ მის მიერ დამტკიცებული 1881 წ. სამოსწავლო გეგმა დარჩენილ იქმნეს ძალაში.

### ბათომი

✦ ბათომში 14 იანვარს ჩვეულებრივი საღამო გაიმართება. საღამოდან შემოსული ფული წ. კ. საზოგადოების იქაურ განყოფილების სკოლას მოხმარდება.

✦ წვრილი კრედიტის ინსპექტორს ჯაფარიძეს განუზრახავს სვანეთში წვრ. კრედიტის საზოგადოებათა გახსნა.

### სოფლად.

✦ **ს. ჩუმლაყი** (ქიზიყი). 7 იანვარს დილის რვა საათზე ალექსი სოლომონის ძე ჯერელაშვილმა **თოფით მოჰკლა** თავისი ძმა მიხა. მიზეზი ისა ყოფილა, რომ უკანასკნელი მკვლელს სთხოვდა თავის ხვედრ მამულს. მოკლული მიხა ჯერელაშვილი არეულობის დროს ციმ ქვეყანაში იყო გაგზავნილი. ეს ორი წელიწადია რაც დაბრუნდა სახლში. მკვლელი ალექსი ჯერელაშვილი შეიპყრეს.

## რედაქციისაგან

„სახ. გაზ.“ 793 ნომერში ფოთიდან მოწერილ ამბავში სამწუხაროდ, უყურადღებობის გამო, დაიბეჭდა ცნობა შესახებ ფოთის ქალაქის მოადგილის კანდიდატად წამოყენებულ იასონ ვარადებულის ძე აფაქიძის შესახებ, რომელსაც ჩვენს გაზეთში ადგილი არ უნდა ჰქონოდა. [illegible] ლია ი. აფაქიძეს ასახელებენ [illegible] თში კანდიდატად, მაგრამ მისი მამის ვარადებულ აფაქიძის შესახებ ცნობა სულ უადგილოდ არის მოყვანილი. ამასთან თვით ცნობა თავადი ვარადებულ აფაქიძის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება, რადგან ის სულ სხვა საქმეზე არის მიცემული პასუხის გებაში და მისი პროცესი ჯერეც არ გათავებულა.

რედაქცია სწერს, რომ ამ გვარი შემცდარი ცნობა დაიბეჭდა მის გაზეთში.

## სასამართლო.

### ტაგიევის საქმე.

10 იანვარს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად ფრიად საინტერესო სააპელაციო საქმე ჰაჯი ზეინალ აბდინ ტაგიევისა, იმის შვილის სადიხ ზეინალოვისა, ბაქოს მდაბიო მოქალაქეთა: ჰასან აღა ჰაჯი სულეიმან ოღლი ჰასანოვისა, მეხთი ჯაფარ ოღლი ჯაფაროვისა და მამედ რიზა ჰაჯი ალი ყული ოღლი. ტაგიევისა, აგრეთვე პოლკოვნიკ მირზა ბაბახანოვისა, რომელთაც ბრალად ედებათ, რომ 1911 წლის 16 მაისს, ბაქოში, პირველის ბინაზე, ერთმანეთთან წინასწარ შეთანხმებით, დიდიხნის განმავლობაში ინჟინერ ბებუთოვსა სცემდნენ სხვა და სხვა ადგილას, ამ ცემისაგან ბებუთოვს რამდენჯერმე ჰკარგავდა გონებას და იატაკზე ეცემოდა გულ-შეღონებული, თოკით უკრავდნენ მას ხელებს და შეკრულ-შებოჭვილს კვლავ სცემდნენ მუშტებით და ფეხსაცმელების ქუსლებით, აფურთხებდნენ პირში, სახეში, იატაკზე აწვენდნენ და ისე სცემდნენ, რის შედეგიც ის იყო, რომ ბებუთოვს მრავალ ადგილას დალილავებული ხორცი აღმოაჩნდა და ნიკაპიც გაჩეხილი ჰქონდა. ბოლოს ნაცემი ბებუთოვი მის დასამცირებლად და შესარცხვენად აჩვენეს ტაგიევისა და ბებუთოვის ცოლებს.

პირველად ეს საქმე ბაქოს ოლქის სასამართლოში გაირჩა. აქმოწმეების ჩვენებით გამოირკვა, რომ 16 მაისს ტაგიევის ცოლმა საუზმის დროს უთხრა ქმარს, მეარშიყებაო. ტაგიევმა მაშინვე შეკრიბა ზემოდ აღნიშნული დანარჩენნი ბრალდებულნი რომელთანაც ითათბირეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაესაჯათ ბებუთოვი. როდესაც მონაწილეობის მიღებაში ყველანი დასთანხმდნენ, ტაგიევმა ბებუთოვს წერილი მისწერა სახლის შესაკეთებლად მკირდები და მოდიო. ინჟინერი ბებუთოვი თაგიევს ემსახურებოდა). ბებუთოვმაც ცოლს აჩვენა წერილი და ტაგიევის სასახლისკენ გაემართა. კიბის თავზე მას თითონ თითონ ტაგიევი გამოეგება და უთხრა

# დიმიტრი ყიფიანი

(ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატიანე *)

კარი II.

ა.

1834 წელს დიმიტრი ყიფიანი მიემგზავრება რუსეთში, ქ. ვოლოგდაში. იქ იყო გადასახლებული, უკეთ ვსთქვათ, სამსახურში ჩარიცხული. დიმიტრის სულიერი განწყობილება გადასახლებულის სულიერ განწყობილებას არ ჰგავდა ჩვენ უკვე ვიცით, რომ მას პოლიტიკური ბრძოლა არ აინტერესებდა, რომ იგი შემთხვევითი მსხვერპლი იყო „შეთქმულობისა“. მართალია, ჩვენში დამყარებული წესები არ მოსწონდა, მაგრამ რუსეთისადმი ღალატი ფიქრადაც არ მოსდიოდა. რუსეთს ჩააბარეს საქართველო ქართველმა მეფეებმა (ასე სწამდა დიმიტრის). რუსმეფეებმა მიიღეს საქართველო თავიანთ ქვეშევრდომობაში. ეს უკვე საკმარისია უსაზღვრო ერთგულების განმტკიცებისათვის მართალია, წესები არ ვარგა, ხალხიც უკმაყოფილოა. ხოლო ეს „უვიცი ტიტულიარნი სოვეტნიკების“ ბრალია. უმაღლესი მმართველების განზრახვანი კი ყოველთვის არიან და იქნებიან კეთილნი. აი დოგმა, რომელზედაც იმ თავითვე იდგა დიმიტრი ყიფიანი და რომელსაც არ ღალატობდა სიცოცხლის განმავლობაში. უსამართლო მოხელეებთან ბრძოლა და ერთგულება უმაღლეს მთავრობისადმი—აი ჩანასახი პოლიტიკური პროგრამისა, რომელსაც ანხორციელებს დიმიტრი თავის სამსახურის პირველ დღიდამვე.

ვოლოგდაში ჩარიცხეს გუბერნიის მმართველობაში. „ვოლოგდაში, მიღებულ ჩემს შესახებ ქაღალდის წყალობით, ამბობს დიმიტრი, ზოგიერთნი ისე მიყურებდნენ, როგორც ნადირს, რომელიც იკბინება. თუმცა მეორეთა თვალშიაც ნადირი ვიყავი, მხოლოდ ნადირი ჭაბუკი და სამხრეთიდან მოსული, რომელსაც მოფერება ესაჭიროებოდა. მაგრამ მე ისე გულმოდგინეთ შევუდექი ჩემს სამსახურს, რომ გუბერნიის სამმართველოში დილა-საღამოობით დავდიოდი. და ყურადღებას არ ვაქცევდი არც იმათ, ვისაც ჩემი ეშინოდათ, არც იმათ, ვისაც ჩემი მოფერება სწადდათ. ვმუშაობდი და სამი წლის განმავლობაში გუბერნიის მმართველობის მდივნის ხარისხამდე მივაღწიე.“ უფროსები ძლიერ აფასებდნენ დიმიტრის გულმოდგინეობას და ბეჯით მოხელის წინ-წაწევას ცდილობდნენ. უნდა ვსთქვათ, რომ გულმოდგინეობის გარდა, დიმიტრის ქართველობისთვიასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ პატივცემით ეპყრობოდნენ. უშიშრობა, გამბედაობა და გულახდილობა დიმიტრის ხასიათისა თვალსაჩინო ხდებოდა რუსეთის მიყრუებულ პროვინციის დაბეჩავებულ მოხელეთა წრეებში. აი ერთი მაგალითი, რომელსაც სხვას არ აპატიებდნენ, დიმიტრის კი სახელი გაუთქვა. ერთმა მოხელემ, ერთის ხარისხით წინ მდგარმა, შეიძულა რაღაც მიზეზის გამო ჩვენი დიმიტრი. იქნებ შურიც ამოძრავებდა. დააბეზღა გუბერნატორთან, მეათე კლასის ჩინოვნიკმა ყიფიანოვმა (ყიფიანოვს ეძახდნენ ვოლოგდაში) თავი არ დამიკრა და შეურაცყოფა მომაყენაო. „ერთხელ, გვიამბობს დიმიტრი თავის „მოგონებაში“, გუბერნატორმა შინ დამიბარა. მეუბნება:

— „ასეთები ხართ ახალგაზდა კაცები. ზომა აღარ იცით, ცოტაოდენ თავისუფლებას რომ დაინახავთ.

გაშტერებული უყურებ და არა მესმის-რა.

— რას მიყურებთ უმანკო თვალებით? თქვენ ნება მიეცით თქვენს თავს და უზრდელად მოექეცით გუბერნიის სამმართველოს „სოვეტნიკს“.

გულიგადამიბრუნდა და ვუპასუხე:

— ნება მიბოძეთ ვაუწყო თქვენს აღმატებულებას, რომ ქართველი გახლავარ. ქართველს რასაც გინდათ დააბრალებთ, მაგრამ უზრდელობას ვერ დასწამებთ.

— მაშ რა არის რომ შემომჩივლა ნაპენინმა, რომ მმართველობაში შემოსვლის დროს თავი არ დაუკარით?

— თუ მართლა ესე მოხდა, მერწმუნეთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ ამ გვარი განზრახვა არ მქონდა.

— შემომჩივლა და მეც დავპირდი, რომ ბოდიშს მოიხდით მისს წინაშე. ასედაც მოიქცევით. ჩემი გულისთვის მოიქცევით ასე.

— ასე შემიძლიან მოვიქცე მხოლოდ როგორც თქვენი ბრძანების აღმასრულებელი.

Ну, ну!..

მიველ ნიპენინთან.

— გუბერნატორის ბრძანებას ვასრულებ და ბოდიშს ვიხდი, თუმცა ვერ დაგიმალავთ, არ ვიცი, რის გამო.

— ჰო, არაფერი, დავივიწყოთ ყოველივე.

ამ შემთხვევის შემდეგ რამდენიმე ხანს ლაპარაკი იყო ვოლოგდაში იმის თაობაზე, თუ როგორ იხდიან ბოდიშს ქართველები. (какъ извиняются грузины)!

როგორც ვსთქვი, დიმიტრი მალე წასწიეს და დანიშნეს კანცელარიის გამგედ (правитель канцеляріи). მაგრამ ამისათვის საჭირო იყო უმაღლესი მთავრობის დამტკიცება. პასუხის მოსვლამდე იგი მაინც ასრულებდა ამ თანამდებობას. მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი, გრაფი ბლუდოვი წინააღმდეგი იყო დამტკიცებისა. იგი უგზავნის საიდუმლო ქაღალდს ვოლოგდის გუბერნატორს, საცა, სხვათა შორის, ამბობს: „მაქვს პატივი ვაცნობო თქვენს აღმატებულებას, რომ თუმცა თანახმად თქვენის წარდგენისა, ყიფიანოვი სამსახურში გულმოდგინეა და კარგის ყოფა-ქცევისაა, მაგრამ რადგან იგი უმაღლესს ბრძანებით არის გამოგზავნილი ვოლოგდაში, როგორც დასჯილი ერთს სამხედრო სახელმწიფოებრივ საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის (въ наказаніе за прикосновенность) და ვოლოგდაში პოლიციის მუდმივ და საიდუმლო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება, ხოლო რადგან სამოქალაქო გუბერნატორების კანცელარიებში გროვდება და სწყდება ყველა საიდუმლო საქმეები, რის გამოც კანცელარიის მმართველად უნდა იყოს არჩეული იმისთანა მოხელე, რომელიც, ნიჭისა და გულმოდგინეობის გარდა, ცნობილია როგორც სრულიად კეთილსაიმედო, რომელსაც მთავრობას მისდამი ნდობის გამართლება შეუძლია —ამიტომ არა ვსთვლი შესაძლებლად, რომ თქვენს კანცელარიაში დაინიშნოს მე-10 კლასის ყიფიანოვი იმ დრომდე, სანამ მთავრობა არ ახსნის საიდუმლო ზედამხედველობას

შინაგან საქმეთა მინისტრი, სტატს-სეკრეტარი ბლუდოვი.“

დედ-მამა ჯერ კიდევ ცოცხალი ჰყავდა. კარგად იცოდა, რა მოუთმენლად ელოდებოდნენ მის დაბრუნებას. ყველანი სიყვარულით იგონებდნენ. 1834 წელს დედა სწერდა ვოლოგდაში: „..სიცოცხლეო ჩვენო, გენაცვალოს მშობელი დედა, წიგნს ნუ დაგვაკლებ... ჩემო სიცოცხლე და თვალის ჩინო, პატარა ბატკანო კაპიტანო. კაპიტნის დედებმა როგორ-ღა დაგკოცნონ და ლაგეკოწონ, პაწაწა ულვაშებზე გაკოცოს, ლამაზ თვალებზე გაკოცოს, ლამაზ ტუჩებზე გაკოცოს და ფუნჩუჩა ხელებზედაც დაგკოცნოს ორმა დედამა მარია ივანოვნამ (დედობილი) და ბარბარე ქაიხოსროვნამა. მამაც ტრფიალებით გაკოცებს სოსია მოგვიკითხე და როგორ შენ გუნებით გემსახურება მოგვწერე... მამამ მოგვწერეო, როგორ მიგიღესო, ან რა სამსახურში გაგაწესო, და ან რა უბანში გაქვს სახლიო, ან როგორ მოგწონს ყველა წვრილებით მოგვწერეო. შენმა მოსამსახურეებმა ხელს გაკოცეს. —თებერვლის ე-სა წელსა ჩყლდ. „ამგვარი წერილების მიღება სასიხარულოც იყო დიმიტრისთვის, დამაღონებელი, კაეშნის აამღძვრელიც გული შინისკენ იწევდა. 1837 წლამდე ითმინა. ამ დროს კი, როდესაც შინიდამაც სწერდნენ, შენი მოსვლა სანატრელია ჩვენთვისაო, შუამდგომლობა აღძრა დაბრუნების თაობაზე.

ერთ საფეხურიდამ უკანვე გადააყენეს დიმიტრი ყიფიანი. დაწინაურებას არავისა სთხოვდა. თითონ წასწიეს. მერე კი ისევ უკან დააბრუნეს. დიმიტრის ეწყინა, თუმცა წყენა არავის გაუმჟღავნა. ხოლო ამ ამბის შემდეგ ვოლოგდაში გული აღარ უდგებოდა. იფიქრა, მოდი პეტერბურგში წავალ. იქ აღარ შემხუთავენო. მაგრამ პეტერბურგში წასვლა არც ისე ადვილი იყო. გუბერნატორს სთხოვა, გუბერნატორმა პეტერბურგში აცნობა. იქიდან იგივე ბლუდოვი სწერს გუბერნატორს, ხელმწიფეს მოვახსენე და მკითხა „რა საჭიროებისათვის დასჭირდა ყიფიანოვს პეტერბურგში წამოსვლაო“. ამაზე დიმიტრი ყიფიანმა რაპორტით აცნობა გუბერნატორს, რომელნიც შეეკითხა მას. „პეტერბურგში ადგილის საძებნელად მინდა წასვლა, რათა იქ მთელი ჩემი ჯანი და უქვეშევრდომილესი გულმოდგინეობა შევწირო მის იმპერატორობითი დიდებულების სამსახურს, რათა ამითი ცოტათი მაინც დავიმსახურო ხემწიფე იმპერატორის ჩემდამი წყალობაო“. რაპორტი გაგზავნეს მინისტრთან. ბლუდოვის პასუხიც მალე გაჩნდა. სამხედრო მინისტერმა, გრაფ ჩერნიშოვმა მაცნობაო, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ნება დართო ყიფიანოვს 28 დღით პეტერბურგში მოსვლა, ხოლო „მისმა დიდებულებამ კეთილი ინება და უმაღლესად მიბძანა ეუწყოს ყიფიანოვს, რომ დედა-ქალაქში მისი განწესება სამსახურში ვერ მოხერხდებაო“.

ასე რომ პეტერბურგში წასვლაც მოუხდა. და ახლა სამშობლოში დაბრუნებაზე იწყო ფიქრი დიმიტრიმ. იმავ წლის სექტემბერშივე მიაწერინა გუბერნატორს: „პეტერბურგში წამოსვლის შესახებ ნებართვა გადავეცი ყიფიანოვს. მან მიიღო ეს როგორც მოწყალეობა მისდამი მონარქისა (принялъ какъ монаршую милость). მაგრამ ყიფიანოვს შინიდან სწერენ, შენ ხარ ჩვენი შემნახველი იმედი ეგებ წამოსვლის ნება მოქცეთო. საქართველოს მთავარმართებელი როზენიც წინააღმდეგი არ არის, რომ ყიფიანმა ტფილისში განაგრძოს სამსახურიო. ამასთან ვგზავნი მის „სამსახურის ფურცელს“ (формулярный списокъ). და მოგახსენებ, რომ მოხელე დიდად ნიჭიერია და საგებო ყოფაქცევისაო“.

ნებართვა მალე გამოვიდა. და ყიფიანი 1837 წ. ისევ სამშობლოს დაუბრუნდა.

(შემდეგი იქნება)

**არჩილ ჯორჯაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იატაკი დაზიანებულია და შეკეთება უნდაო. გაატარა სადარბაზო ოთახი, შემდეგ სხვა ოთახები და საწოლ ოთახში შეიყვანა. აქ კი სხვა და სხვა ოთახებიდან გამოვიდნენ ყველა ბრალდებულნი და დაუწყეს მას ცემა.

საოლქო სასამართლომ ყველა ბრალდებული დამნაშავედ იცნო და სასჯელთა კანონ. დებულებათა 1489 მუხლის ძალით მიუსაჯა: ყველა ბრალდებულს ყოველივე ღირსების ახდა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა: დ. ისტვ. სტატ. სოვ. ჰაჯი ზეინალ აბდან ტაგიევს ორის წლის ნახევრით, დანარჩენთ კი ორ-ორი წლით. ეს განაჩენი ბრალდებულთ ტფილისის სასამართლო პალატაში განასაჩივრეს.

**თაგიევისა და სხვათა საქმე.**

სამოსამართლო პალატაში ბრალდებულთ იცავენ ნაფიცი ვექილები; კაზარინოვი, ზამისლოვსკი, ბიკოვი, ვანსოვიჩი და ჩაკალინკი. მომჩივნის მხრით არიან: ნაფ. ვექ. ბარათაშვილი და ნაფ. ვექ. თან. გულისაშვილი.

დილიდანვე სასამართლოს დარბაზი ხალხით გაივსო. დამსწრეთ ბილეთებით უშვებენ.

პალატის სხდომა დაიწყო დილის 10 საათზე და 50 წუთზე. თავმჯდომარეობს ბ. ორლოვსკი, წევრებია: უთნელიშვილი და შჩურასი. ბრალმდებელია ბ-ნი კოროლიოვი. სასამართლოში გამოცხადდნენ: ბრალდებულნი სადიხა ზეინალოვ თაგიევი, გასან ალა გაჯი გასანოვი, მეხთი ჯაფარ ოღლი ჯაფაროვი და პრინცი მინსურ მირზა კაჯირი. თითონ გაჯი ზეინალ აბდინ თაგიევი, სასამართლოში არ გამოცხადდა. არ გამოცხადდა აგრეთვე თითონ დაზარალებული ბებუთოვი, არ გამოცხადდა, მაგრამ დეპეშა გამოჰგზავნა, რომელშიაც განაცხადა: სასამართლოში ფრიად საყურადღებო საბუთების წარმოდგენა მინდა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ დავესწრები, და საქმის განხილვა სხვადროისათვის გადასდევითო. ავადმყოფობის მოწმობას ბებუთოვი ფოსტით გზავნის.

**ბრალმდებელის** აზრით ეს დეპეშა პალატამ მხედველობაში არ უნდა მიიღოს, რადგან ბებუთოვი სასამართლოს არ გამოუწვევია. მაგრამ შუამდგომლობს მას ბებუთოვის გამოწვევას, თუ პალატა საქმის განხილვის გადადებას მოისურვებს.

**დამცველები** თხოულობენ საქმის განხილვას, რადგან ბებუთოვმა ყველაფერი სთქვა, რაც საჭირო იყო, და მისი ჩვენება, ოქმებში ჩაწერილი, ნათლად არკვევს საქმეს.

დაზარალებულის ვექილი გულისაშვილი უერთდება ბრალმდებელის აზრს. სამოსამართლო პალატამ მოკლე თათბირის შემდეგ უარჰყო ბებუთოვის შუამდგომლობა, და დაადგინა საქმე ეხლავე განხილულ იქმნას შემდეგ სასამართლო პალატის წევრი შჩერასი კითხულობს მოხსენებას.

მოხსენების კითხვა 1½ საათამდე გაგრძელდა. შემდეგ მოწმეებს ჩვენება ჩამოართვეს და პალატამ შეიმუშავა კითხვები, რომელზედაც ექსპერტებმა უნდა უპასუხონ. დაწვრილებით მოწმეების ჩვენებას ხვალ დავსტამბავთ). საღამოს 5 საათზე სხდომა შესწყდა და საღამოს 8 საათისათვის გადაიდო.

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## „წყარო" (№ 1)

მრავლის მხრივ არის საყურადღებო ახალი წელი. განსაკუთრებით საინტერესოა მით, რომ ჩვენ ვცდილობთ ანგარიში გაუწიოთ წარსულ წელს, ჩვენს წარსულს საზოგადოებრივ მუშაობას და საქმიანობას. ეს გადახედვა წარსულისა იმედებს გვიღვიძებს, რომ საზოგადოებრივ საქმიანობის სხვა და სხვა ნაკლულოვანებანი მომავალში იქნება გასწორებული, რომ შეგნებულად და მეტის ენერგიით დავიწყებთ მუშაობას.

და მერე ტრადიცია საზოგადო მწერლობისა: ახალ წელს მოგვაწოდოს მთელი წარსულ წლის ნიშნობლივი ქრონიკა და კრიტიკა, სიმბოლო მომავალისა და სახელმძღვანელო დირექტივები ყოველდღიურ საქმიანობაში—დიდად საგულისხმიეროდა ხდის საახალწლო გამოცემას.

თუ ეს ითქმის ძველ ჟურნალ-გაზეთებზე—რომელსაც უკვე გამოუთქვამთ თავიანთი აზრი საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა და სხვა საკითხებზე—მით უმეტეს ითქმის სრულიად ახალ ჟურნალზე, ახალ მოღვაწეებზე, რომელნიც პირველად იწყებენ მუშაობას, რომელნიც ახალ წლიდან კისრულობენ საზოგადოებრიობის ჭაპან-წყვეტას,

ახალი ხალხი, ახალი წელიწადი... მოსალოდნელია ახალი სიტყვა, ახალი აზრები, ძველის გადაშინჯვა, შეცდომების აღიარება და ახალ მძლეთა მძლე პრინციპებით ორიგინალურად წარმოება ჩვენი კულტურის განვითარებისა...

ი ამ აზრებსა და იმედებში ვიყავით გართული, როდესაც დილით ადრე პირველ იანვარს მივიღეთ ბაქოში გამოსული ახალი საახალწლო საპოლიტიკო-სალიტერატურო ჟურნალი—„წყარო".

გადავხედეთ, გადავფურცლეთ ჟურნალი. სუფთა ქაღალდზე, აუკინძავ თექვსმეტ გვერდზე სულ რამდენიმე პირი მოკალათებულა, ერთად-ერთი ხეირიანი წერილი—მოწინავედ გაშვებული—მხოლოდ იმას გვიმტკიცებს, რომ ბაქოს ქართველობა ქართულ ეროვნულ საქმეს ეწევა და რომ ეს კანონიერია. მტკიცება სერიოზულად სწარმოებს, მაგრამ რა დასამტკიცებელია. ასეთი ფინალი, როდესაც ამას არავინ უარჰყოფს? ხოლო რაც თავი და თავია, რასაც ჩვენ აუცილებლად მოველოდით, სახელდობრ ისა, თუ რისთვის შეკავშირებულა ეს ახალი ძალები, რა მოუწადინებია, რისთვის, რა გზით, რა საშუალებით და სხ. ყველა ეს მართლა საინტერესო კითხვები აღძრულიც არ არის. არა სჩანს მრწამსი, პრინციპები და გეგმა მოქმედებისა.

ახალწელიწადს განა ასეთი გამოურკვევლობა შესაწყნარია?

ხშირად ხდება, გაზეთი თამამად ვერ ამხელს თავის მრწამს, თავის სამუშაო გეგმას. თვით შინაარსი ხდება მეტყველი უმეტყველებისა, მაგრამ, აბა, ნახეთ ამ ქხრივ ეს ჟურნალი!

1912 წელს, მრავალი საკითხი აღიძრა და გადაიჭრა ცხოვრებაში. კერძოდ საქართველოსა დ კავკასიის ცხოვრებაში 1912 წ. დაუვიწყარი და ღირსაღსანიშნავი იქნება. მთელი ორმოცდაათი წელიწადია, რაც მთელი ჩვენი საზოგადოება ოცნებობს და იბრძვის ბატონ-ყმობის ლიკვიდაციაზე, მთელი ოცდათხუთმეტი წელია, რაც ყოველი ქართულ-სომხურ-თათრული დაწესებულებანი დ საზოგადოებრივი ჯგუფები იბრძოდნენ უმაღლეს სასწავლებლისათვის. დიაღ, 1912 წელმა მოგვცა ყოველივე ესა, გაჰყავთ აგრეთვე კახეთის რკინის გზა, სიღნაღიდან-ბაქომდე, რასაც ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს და რაზედაც ერთიანად თავს იტეხს ქართული მწერლობა, მაგრამ „წყარო"ს მკითხველი ვერაფერს გაიგებს ამაებზე. ჯერ კიდევ არ შემშრალა მელანი დრ.-ვად. ინსტიტუტის გამანადგურებელ ქაღალდზე, რომლის ხეირიანად წარმართვა ყოველ ჩვენთაგანის მოვალეობაა, რისთვისაც უნდა ვიკვლევდეთ მის ყოველ ასავალდასავალს და რომელზედაც ყოველი ქართული გაზეთი კვლევა-ძიობს—გამოუკლებლივ ისეთ სპეციალურ ჟურნალისა, როგორიცაა „სასოფლო გაზეთი" (№ 6) და აი ამ დროს მხოლოდ „წყარო"-ში არა მოიპოება რა. აბა ხიზნები, ერობა, პრესსა, რკინის გზა, სკოლა, სათათბირო, ჩვენი დეპუტატები, ბალკანეთი, ევროპა—ამაებზე ხომ სიტყვაც არაა დაძრული.

